

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 199¹ მუხლი:

„მუხლი 199¹ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა

უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით, - გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას. აგრეთვე პირზე, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე. ეს მუხლი არ ვრცელდება ასევე პირზე, რომელიც საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობის გარეშე შევიდა/შევა აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა საქართველოს

სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ მიიღებს საქართველოს მთავრობის სპეციალურ თანხმობას.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹ და 42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე-44³, 44⁵, 44⁷-44¹², 45-ე, 46-ე, 46¹, 48-ე-49-ე, 50¹-55⁴, 56-ე, 57-ე-59-ე, 59², 59³, მე-60, 60³, 61-ე, 61¹, 63-ე, 63¹, 64-ე, 64¹, 65-ე, 66-ე-69-ე, 71-ე, 72¹-78-ე, 79¹-82², 84-ე-86-ე, 88-ე-89³, 91², 94-ე, 95-ე, 99-ე, 100¹, 100², 103¹, 104-ე და 105¹ მუხლებით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 128¹-128⁵, 143-ე, 144-ე, 144¹⁰, 145-ე, 146¹, 148-ე, 150-ე-151-ე, 152-ე, 152²-153¹ და 153³-153⁵ მუხლებით, 153⁶ მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე-154², 155¹-156-ე, 157¹-158¹, 159-ე-159¹, 159⁴-159¹⁰, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე, 167-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171¹, 172⁴, 172⁵, 173-ე, 173⁴, 173⁶, 173⁷, 173⁹, 173¹², 174¹, 175¹, 175², 177⁸, 177⁹, 177¹¹, 178-ე, 179¹-179³, 180-ე-183-ე, 187-ე-187², 189-ე, 191-ე მუხლებით (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196²-196⁶, 197¹ და 199¹ მუხლებით.“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 64-ე ნაწილი:

„64. ამ კოდექსის 199¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი